

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია 2018 წელს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებასთან.

2017 წლის ბიუჯეტი და 2017-2020 წლების ფისკალური ჩარჩო მომზადდა გასული წლის ნოემბერში და მთლიანად დაფუძნებულია იმ სამთავრობო პროგრამის განხორციელებაზე, რომელსაც გასული წლის ნოემბერში ნდობა გამოუცხადა საქართველოს პარლამენტმა. აღნიშნული პროგრამის ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის განხორციელებასთან, რომლის ერთ-ერთი და ყველაზე მასშტაბური თანხების საჭიროების მქონე სივრცითი მოწყობის მიმართულებაა. აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დასრულება, სამხრეთ-ჩრდილოეთის კორიდორის მშენებლობა-რეაბილიტაცია (მ.შ. ახალი ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა), ასევე ტურისტული და შიდასახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის შესაბამისად მომზადებული ფისკალური პოლიტიკის განხორციელება იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკების მთავარი საკითხი და სწორედ ამ ფისკალურ პოლიტიკაზე დაყრდნობით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიმდინარე წლის აპრილში საქართველოსთვის დაამტკიცა ახალი 3 წლიანი პროგრამა.

აღნიშნული პროგრამა, ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღებისთვის დაგეგმილი მნიშვნელოვანი რეფორმების გარდა, ფისკალური პოლიტიკის 3 ძირითად პრინციპს ითვალისწინებს:

- მშპ-სთან მიმართებაში მიმდინარე ხარჯების ეტაპობრივი შემცირება და შესაბამისად მთავრობის დანაზოგების ზრდა;
- არსებული რესურსების მაქსიმალურად მიმართვა საინვესტიციო (კაპიტალური) ხარჯების დასაფინანსებლად;
- საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება;

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის წარმატებით დასრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესების და შესაბამისად როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მიერ ინვესტიციების განსახორციელებლად რესურსების მოზიდვის კუთხით.

პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს შესაძლებლობას წლის განავლობაში დაგეგმილთან შედარებით გადაჭარბებით მიღებული შემოსავლები მიიმართოს დამატებით კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად.

2017 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ეკონომიკის რეალური ზრდის 4.0%-იან მაჩვენებელზე, თუმცა 9 თვის წინასწარი მაჩვენებლების მიხედვით რეალური ეკონომიკური ზრდა შეადგენს 4.9%-ს. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტით ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი შეადგენს 4.5%-ს, თუმცა მოსალოდნელია, რომ საბოლოო მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნება.

დაგეგმილთან შედარებით მაღალია მშპ-ს დეფლატორიც და შესაბამისად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი, გასული წლის ნოემბერში პროგნოზირებული 36.0 მლრდ ლარის ნაცვლად შეადგენს 37.5 მლრდ ლარს.

დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის და ადმინისტრირების გაუმჯობესების შედეგად გადაჭარბებით სრულდება საგადასახადო შემოსავლები. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმიური მაჩვენებელი იზრდება 200.0 მლნ ლარით და განახლებული პროგნოზი შეადგენს 9 740.0 მლნ ლარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლის პროგნოზი იზრდება 160.0 მლნ ლარით და შეადგენს 8 980.0 მლნ ლარს.

ზემოაღნიშნული დამატებითი რესურსი მიზანშეწონილია მიმდინარე წელსვე მიიმართოს იმ პროექტების ფინანსური უზრუნველყოფისთვის, რომელთა განხორციელება დაგეგმილია 2018 წელს. აღნიშნული გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი 2018 წლის ბიუჯეტის პარამეტრები (მიმდინარე ხარჯების, კაპიტალური პროექტებისთვის გათვალისწინებული რესურსის და საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობა) შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მისი ზრდის შესაძლებლობა არ არის, თუმცა საჭიროება აღმატება 250 მლნ ლარს და მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილებები მომდევნო წლის ბიუჯეტში თანხების გამოთავისუფლების საშუალებას მოგვცემს. ამასთან, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით თანხები ძირითადად გამოიყოფა სახელმწიფო საწარმოების კაპიტალის გასაზრდელად (იმ საწარმოების, რომლებიც ისედაც ახორციელებენ შესაბამის პროექტებს), შესაბამისად აღნიშნული საწარმოები შეძლებენ წელსვე დაიწყონ სატენდერო პროცედურები, რაც თავის მხრივ დააჩქარებს მომდევნო წელს პროექტების განხორციელების ვადებს.

გარდა ამისა, რამდენიმე პროგრამის ფარგლებში წლის ბოლომდე არსებული ვალდებულებების შესრულების მიზნით საჭიროა დამატებითი თანხების გამოყოფა, ასევე წარმოდგენილი ცვლილებებით მცირდება ზოგიერთ პროგრამაში წარმოქმნილი ეკონომიები.

ცვლილებების დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საბიუჯეტო დეფიციტის მოცულობაზე. საერთაშორისო ფონდთან არსებული პროგრამის მიხედვით საბიუჯეტო დეფიციტი მოდიფიცირებული მეთოდით ითვლება და განსხვავდება სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიით (GFSM-2001) დათვლილი დეფიციტისგან (რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დეფიციტის განსაზღვრის საფუძველს).

მოდიფიცირებული მეთოდით, GFSM-2001-ის მიხედვით დათვლილ დეფიციტს ემატება ფინანსური აქტივების ცვლილება, შესაბამისად ფინანსური აქტივების ზრდის (თანხის გასესხება ან სახელმწიფო კომპანიების კაპიტალის ზრდა) სახით გაწეული გადასახდელები. აღნიშნული გადასახდელების დეფიციტზე დამატების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოებზე თანხის სესხება ან მათი კაპიტალის ზრდა ხდება არა შემდგომში მოგების მიღების მიზნით, არამედ ამ საწარმოების მიერ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, შესაბამისად მსგავსი მიზნობრივობით გაწეული ხარჯები იგივე შინაარსისაა, როგორც არაფინანსური აქტივების ზრდის (კაპიტალური ხარჯები) სახით გაწეული ხარჯები.

2017 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ბიუჯეტის (მოდულიზებული) დეფიციტის 3.7%-იან მაჩვენებელზე, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებების შემდგომ საბიუჯეტო დეფიციტის მაჩვენებელი შემცირდება მშპ-ს 3.4%-მდე, თუმცა ფაქტიური შესრულების მიხედვით შესაძლებელია კიდევ უფრო დაბალ მაჩვენებელს მივაღწიოთ. 2018 წელს საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება დაგეგმილია მშპ-ს 3.0%-მდე.

## ბ) კანონპროექტის მიზანი

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება;

## გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

## ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

კანონპროექტი შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზღვრულ პარამეტრებთან:

- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი (GFSM 2001) მშპ-თან მიმართებაში – 0.5% (ზღვრული მაჩვენებელი - 3%);
- ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში - 29.9% (ზღვრული მაჩვენებელი - 30%);
- სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში - 42.9% (ზღვრული მაჩვენებელი - 60%).

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 11 487.2 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც დამტკიცებულ მოცულობას აღემატება 30.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ზრდა შეადგენს 35.0 მლნ ლარს.

- შემოსავლები - 9 696.2 მლნ ლარი (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 206.7 მლნ ლარით);
  - საგადასახადო შემოსავლები - 8 980.0 მლნ ლარი, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 160 მლნ ლარით, მათ შორის:
    - საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი არ იცვლება და განსაზღვრულია 2 570.0 მლნ ლარით;
    - მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 740.0 მლნ ლარით, რაც 59 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმას;

მოგების გადასახადის მეტობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გასულ წელს კომპანიების მოგებამ გადააჭარბა პროგნოზირებულ მაჩვენებელს და შესაბამისად

მიმდინარე წლის 1 აპრილამდე კომპანიებმა დაზუსტებული დეკლარაციების შესაბამისად გადაიხადეს მოგების გადასახადი.

- **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 020.0 მლნ ლარით, რაც 241 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის პირველად გეგმას;

დღგ-ში გადაჭარბება დაკავშირებულია დაგეგმილზე მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან და ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან.

- **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 435.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 192 მლნ ლარით ნაკლებია 2017 წლის დამკვიციებულ გეგმასთან შედარებით;

აქციზის გადასახადის დაგეგმილია მიმდინარე წელს მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით. შემცირება გამოწვეულია:

1. თამბაქოს აქციზი:

- 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული თამბაქოს პროდუქციის მარაგები (ძირითადად იმპორტირებული) შემცირდა მნიშვნელოვნად. 2016 წლის განმავლობაში საქართველოში საშუალოდ თამბაქოს პროდუქციის 2 თვის მარაგი არსებობდა მუდმივად. 2017 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მარაგები განახევრდა და საშუალოდ საქართველოში თამბაქოს პროდუქციის 1 თვის მარაგია (30 მლნ კოლოფი). იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ მარაგებზე კომპანიების მიერ აქციზის გადასახადი გადახდილია გასულ წლებში, მარაგების შემცირება ერთჯერადად აისახა აქციზის გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსულ თანხებზე;
- აქციზის განაკვეთების ცვლილების შედეგად, მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად შემცირდა თამბაქოს მოხმარება საქართველოში. 2016 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებული იყო 5,8 მილიარდი ლერი სიგარეტი, ხოლო 2017 წლის იანვარ-აგვისტოში სულ რეალიზებულია 4,9 მილიარდი ლერი სიგარეტი. თამბაქოს მოხმარება მიმდინარე წელს (8 თვის მონაცემებით) შემცირებულია 900 მილიონი ლერით, რაც არის მოხმარების 15.5%-იანი შემცირება. იმის გამო რომ თამბაქოს მოხმარება 2017 წელს შემცირდება საპროგნოზო მაჩვენებელზე (8%) მეტად, (საპროგნოზო შემცირება - 0.7 მილიარდი ლერი, ხოლო ფაქტიური შემცირება - 1.3 მილიარდი ლერი) ბიუჯეტში აქციზის გადასახადის სახით მოხილვადი თანხები ჩამორჩება 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.

2. ავტომობილების აქციზი:

- საგადასახადო პოლიტიკის ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტირებული ავტომობილების ასაკი (9 წლამდე ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 29%-იდან 76%-მდე), რაც აისახა საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილზეც, ვინაიდან შედარებით ახალი ავტომობილები იბეგრებიან უფრო დაბალი აქციზის განაკვეთით;
- მნიშვნელოვნად გაზრდილია ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების იმპორტი, რაც ასევე შემცირებული განაკვეთით იბეგრება: ჰიბრიდი - სტანდარტულ განაკვეთზე 60%-ით დაბალი განაკვეთით იბეგრება, ხოლო ელექტრო - სრულად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან (ჰიბრიდულ და ელექტრო ძრავიანი ავტომობილების წილი მთლიან იმპორტში ბოლო 4 თვის (ივნისი-სექტემბერი) განმავლობაში გაიზარდა 7%-იდან 42%-მდე);

ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, მსუბუქი ავტომობილების იმპორტთან მიმართებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუწესდათ დამატებითი შეღავათები. კერძოდ: ავტომობილები რომლებიც გამოგზავნილი იყო საქართველოში 2017 წლის 1 იანვრამდე და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ იქნა არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა, მათთვის აქციზის გადასახადის განაკვეთები დარჩა უცვლელი. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში იმპორტირებული ავტომობილებზე აქციზი გადახდილი იქნა ძველი (შემცირებული) განაკვეთებით.

- **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 65.0 მლნ ლარით, რაც 11 მლნ ლარით ნაკლებია თავდაპირველ გეგმასთან შედარებით (შემცირება ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების შედეგად იმპორტი იზრდება სწორედ ამ ქვეყნებიდან და შესაბამისად არ ხდება პროდუქციაზე იმპორტის გადასახადის დარიცხვა);
- **სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 150.0 მლნ ლარით, რაც 63 მლნ ლარით აღემატება 2017 წლის დამტკიცებულ გეგმას (მშპ-ის 0.4 პროცენტი).**

- **სხვა შემოსავლების** გეგმა რჩება უცვლელი და შეადგენს 385.0 მლნ ლარს, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სსიპ-ებისგან მისაღები შემოსავლები (40.0 მლნ ლარი) თავდაპირველად დაგეგმილი იყო ამ მუხლში, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებებით აისახება გრანტებში, რეალურად სხვა შემოსავლების მაჩვენებელი გადაჭარბებით სრულდება და შესაბამისად იზრდება;
- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები იზრდება 46.7 მლნ ლარით და განისაზღვრება 331.2 მლნ ლარით, მათ შორის: (საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან მიღებული შემოსავლების ხარჯზე გეგმა იზრდება 50 მლნ ლარით);
- **არაფინანსური აქტივების კლების** სახით მისაღები თანხების გეგმა არ იცვლება და განსაზღვრულია 90.0 მლნ ლარის ოდენობით;
- **ფინანსური აქტივების კლების** მაჩვენებელი განისაზღვრა არ იცვლება და განსაზღვრულია 85.0 მლნ ლარის ოდენობით;
- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრების გეგმა შემცირებულია 176.7 მლნ ლარით და განსაზღვრულია 1 616.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები - 921.0 მლნ ლარი;
  - საბიუჯეტო კრედიტები მცირდება 175.0 მლნ ლარით და შეადგენს 295.0 მლნ ლარს. 60.0 მლნ ევროს ოდენობით კრედიტის გამოყოფაზე შეთანხმება მიღწეულია საფრანგეთის მთავრობასთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წელს შემოსავლების ნაწილი სრულდება გადაჭარბებით, მიზანშეწონილია თანხის ჩამორიცხვა განხორციელდეს მომდევნო წლის დასაწყისში;
  - სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა - 400.0 მლნ ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები იზრდება 305.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 11 720.5 მლნ ლარით, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1 397.5 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 177.0 მლნ ლარი;
- პროცენტი - 493.2 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 418.7 მლნ ლარი;
- გრანტები - 1 046.5 მლნ ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 3 313.2 მლნ ლარი;
- სხვა ხარჯები - 1 311.2 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნება გაზრდილია 18.2 მლნ ლარით და შეადგინა 1 017.2 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გამოყოფილია - 1 019.9 მლნ ლარი, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 250.9 მლნ ლარით;

ვალდებულებების კლება შეადგენს 526.2 მლნ ლარს, საიდანაც 431.0 მლნ ლარი მიმართული იქნება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე, ხოლო 95.2 მლნ ლარი - საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების და დავალიანების დაფარვაზე.

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით დამატებითი ასიგნებები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:**

- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 476.5 მლნ ლარით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია ჯამში 106.0 მლნ ლარით, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება:
  - ბიზნეს-სახლის მშენებლობა;
  - ქუთაისის აეროპორტის მშენებლობა;
  - მთის კურორტების ინფრასტრუქტურა (ბაკურიანი);

ამასთან, აღნიშნულ პროექტებზე, ასევე სამინისტროს შენობის მშენებლობაზე მიიმართება ანაკლიის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვის პროგრამაში წარმოქმნილი ეკონომომია.

წარმოდგენილი ცვლილება იძლევა საშუალებას 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდეს 108.0 მლნ ლარით და აღნიშნული თანხა გადანაწილდეს სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

- **სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 323.0 მლნ ლარით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია ჯამში 65.0 მლნ ლარით, მათ შორის:
  - სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისათვის დამატებით გათვალისწინებულ იქნა 35.0 მლნ ლარი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში შემცირდეს აღნიშნული თანხა და მიიმართოს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად;

- აზიურ ფაროსანასთან წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით დამატებით გათვალისწინებულ იქნა 35 მლნ ლარი, მათ შორის ტექნიკის შეძენა - 20 მლნ ლარი, ხოლო საწამლი საშუალებების შეძენა - 15 მლნ ლარი, რაც საშუალებას მოგვცემს მიმდინარე წელსვე დაიწყოს შესყიდვის პროცედურების და გაზაფხულზე სრულად იყოს შესაძლებელი შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთან, დამტკიცებულ გეგმაში აისახა წლის განმავლობაში ამ მიზნით უკვე მოხილვებული სახსრები 16.1 მლნ ლარის ოდენობით.
  - 5.0 მლნ ლარით მცირდება „აგროკრედიტი (EIB)“, ვინაიდან დონორთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები და დაგეგმილია აღნიშნული თანხის მიმართვა სამელიორაციო სისტემების და წყალსაცავების მშენებლობისთვის;
- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 1 288.0 მლნ ლარით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 30 მლნ ლარით, მათ შორის:
    - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის დამატებით გათვალისწინებულია 16.0 მლნ ლარი, შესაბამისად შესაძლებელია ამავე თანხით შემცირდეს მომდევნო წლის ასიგნებები;
    - მყარი ნარჩენების პროექტის თანადაფინანსებისთვის დამატებით გათვალისწინებულია 9.0 მლნ ლარი, შესაბამისად შესაძლებელია ამავე თანხით შემცირდეს მომდევნო წლის ასიგნებები;
    - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის დამატებით გათვალისწინებულია 5.0 მლნ ლარი;
  - **სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 146.8 მლნ ლარით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს ბიუჯეტი გაზრდილია 10.0 მლნ ლარით, რაც გათვალისწინებულია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაფინანსებისთვის, შესაბამისად შესაძლებელია ამავე თანხით შემცირდეს მომდევნო წლის ასიგნებები;
  - **ენერგეტიკის სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 197.3 მლნ ლარით, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს ბიუჯეტი გაზრდილია 65.0 მლნ ლარით, მათ შორის:
    - გაზიფიცირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებისთვის დამატებით გათვალისწინებულია 50.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებში სამუშაოები განხორციელდება მომდევნო წლის განმავლობაში და შესაძლებელი იქნება მომდევნო წელს გათვალისწინებული 30.0 მლნ ლარის შემცირება და მისი მიმართვა სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად;
    - 2018 წელს დონორების მიერ დასაფინანსებელი პროექტების (რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო კომპანიები) თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 15.0 მლნ ლარი და აღნიშნული თანხა შემცირდება 2018 წლის ბიუჯეტში;
  - **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 99.8 მლნ ლარამდე, დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სამინისტროს ასიგნება გაზრდილია 15.0 მლნ ლარით, რაც მოხმარდება დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას (კონტრაქტორი კომპანიების ნაწილმა ვადაზე ადრე შეასრულეს მშენებლობის გრაფიკით

გათვალისწინებული სამუშაოები და მიზანშეწონილია განხორციელდეს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება);

- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები იზრდება 14.0 მლნ ლარის ოდენობით;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს ასიგნება განისაზღვრა 115.0 მლნ ლარით, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 5.0 მლნ ლარით. დამატებითი თანხის გამოყოფა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გასული წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად სამინისტრო აფინანსებს უცხო ქვეყნებში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების გადმოსვენების ხარჯებს და ამ მიზნით მიიმართა ბიუჯეტის დაგეგმვისას პროგნოზირებულთან შედარებით მეტი თანხა. გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანაში მიზანშეწონილია წინსწრებით მოხდეს საელჩოს შენობის იჯარის ქირის დაფარვა, რაც საშუალებას იძლევა დაიზოგოს საბიუჯეტო სახსრები (რიგ ქვეყნებში არსებული მოლაპარაკებების შესაბამისად, წინსწრებით გადახდის შემთხვევაში იჯარის ფასი მცირდება);
- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 14.0 მლნ ლარით. მათ შორის 4.0 მლნ ლარით იზრდება შრომის ანაზღაურების ფონდი, რითაც ხდება იმ თანხის კომპენსირება, რომელიც სამინისტრომ მიმართა მიმდინარე წლის ზაფხულში ბორჯომში სახანძრო-სამაშველო სამუშაოებში ჩართული თანამშრომლების წახალისებისთვის, ხოლო 10,0 მლნ ლარი მოხმარდება საქართველოს მიერ საზღვაო სანაპირო ზოლის დაცვის მიზნით მცურავი საშუალების რეაბილიტაციისა და გადმოცემის ხარჯების დასაფინანსებლად
- საერთო სასამართლოებისთვის განსაზღვრული ასიგნებები მცირდება 10.0 მლნ ლარით. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის ახალი შენობის მშენებლობისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო შენობის მშენებლობა დაიწყება 2018 წელს (აღნიშნულ საკითხზე მიღებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება);
- საშინაო სესხების მომსახურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები მცირდება 9.9 მლნ ლარით (ეკონომია წარმოიქმნა საპროცენტო განაკვეთების შემცირებიდან გამომდინარე) და შეადგენს 239.2 მლნ ლარს.
- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სხვა უწყებების დაფინანსების მოცულობაში ცვლილებები არ შედის.

## ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

### ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

\_ კანონის პროექტი განსაზღვრავს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

### ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე



– კანონის პროექტი განსაზღვრავს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს;

**ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

– კანონის პროექტი განსაზღვრავს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება**

–

**ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

–

**ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

–

**გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, ასევე ცვლილებების ძირითადი არსი შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

**დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ**

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

**დ.გ) კანონის პროექტის ავტორი**

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი**

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.